

ანტონენ არტო

თეატრი და კულტურა

(თეატრი და მისი ორეული, წინასიტყვაობა, გალიმარი, 1938)

ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ

გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი“ (n°1, 06-2021)

არასდროს ულაპარაკიათ ამდენი ცივილიზაციასა და კულტურაზე, როგორც ახლა, როცა უკვე თავად ცხოვრება იწურება. და იკვეთება უცნაური პარალელი ცხოვრების ამ საყოველთაო ჩამოშლასა (რამაც გამოიწვია დღევანდელი ხელჩაქნეულობა) და იმ კულტურაზე წუხილს შორის, რომელიც არასდროს შეესაბამებოდა ცხოვრებას და რომელიც მხოლოდ მის სამართავადაა შექმნილი.

სანამ კულტურაზე ვილაპარაკებ, გეტყვით, რომ მსოფლიო შიმშილობს, და რომ მას კულტურა არ ადარდებს, და რომ ხელოვნური იქნება, კულტურისკენ მივმართოთ აზრი, რომელიც მხოლოდ შიმშილს უტრიალებს.

ყველაზე სასწრაფო, ჩემი აზრით, კულტურის დაცვა კი არ არის, რომელსაც არასდროს დაუხსნია ადამიანი საზრუნავისგან, თუ როგორ იცხოვროს უკეთ და არ შიოდეს, არამედ ამ ე.წ. კულტურიდან იმ იდეების ამოკრება, რომელთა ცოცხალი ძალა შიმშილისას უთანაბრდება.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლე გვინდა, გვინდა გვწამდეს იმის, რაც გვაცოცხლებს, და რომ ნამდვილად არსებობს რაღაც, რაც გვაცოცხლებს. და ის, რაც მომდინარეობს ჩვენივე იდეალური სიღრმეებიდან, გამუდმებით არ უნდა გვიბრუნდებოდეს, როგორც საკვებზე საზრუნავი.

იმის თქმა მსურს, რომ თუ ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია შიმშილის დაუყოვნებლივ დაოკება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მხოლოდ შიმშილის დაუყოვნებლივ დაოკებაზე ზრუნვაში არ გავფლანგოთ ამ შიმშილის ძალა.

თუ ჩვენი დროის ნიშანი არის აღრევა, მე ამ აღრევის საფუძველში ვხედავ კავშირის გაწყვეტას საგნებსა და სიტყვებს, იდეებსა და ნიშნებს შორის, რომლებიც მას წარმოადგენენ.

აქ საქმე არ ეხება სააზროვნო სისტემების ნაკლებობას. მათი მრავალრიცხოვნობა და წინააღმდეგობრიობა დამახასიათებელია ჩვენი ძველი ევროპული და ფრანგული კულტურისთვის, მაგრამ ოდესმე ვინმეს უნახავს, რომ ცხოვრება, ჩვენი ცხოვრება, ამ სისტემების კვლევის საგნად ქცეულიყოს?

მე არ ვამბობ, რომ ფილოსოფიური სისტემები ცხოვრებას პირდაპირ და დაუყოვნებლივ უნდა მოვარგოთ, მაგრამ აქ ორიდან ერთ-ერთია:

ან ეს სისტემები ჩვენშია და იმდენად ვართ მათით გაჟღენთილი, რომ მათით ვცოცხლობთ; და ამ შემთხვევაში, რა საჭიროა წიგნები?

ან არ ვართ მათით გაჟღენთილი, და შესაბამისად, ისინი არ იმსახურებენ, რომ გვაცოცხლონ; და ამ შემთხვევაში, რას ვკარგავთ მათი გაქრობით?

არ უნდა მოვეშვათ აქტიური კულტურის ამ იდეას, რომელიც ჩვენში ახალ ორგანოდ, ერთგვარ მეორე სუნთქვად ყალიბდება. ცივილიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ამ კულტურის მეშვეობით ჩვენი ყველაზე დახვეწილი მოქმედებების მართვა, მათი საზრისის საგნებში მოთავსებით. ხელოვნური იქნებოდა ცივილიზაციის გამოყოფა კულტურისგან და ორი ტერმინის გამოყენება ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად.

ცივილიზებულ ადამიანს მისი საქციელის მიხედვით აფასებენ, და იგი ისე აზროვნებს, როგორც იქცევა. თუმცა თავად ტერმინი "ცივილიზებული" იწვევს გაურკვევლობას. ყველას მიაჩნია, რომ განათლებული და ცივილიზებული ადამიანი არის ის, ვინც გათვითცნობიერებულია არსებულ სისტემებში და ამ სისტემების, ფორმების, ნიშნებისა და სიმბოლოების მეშვეობით აზროვნებს.

ეს არის მონსტრი, რომელსაც აბსურდამდე განუვითარდა ჩვენთვის კარგად ნაცნობი უნარი, აზრები ქმედებებიდან გამოიტანოს, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთთან გააიგივოს ისინი.

თუ ჩვენს ცხოვრებას გოგირდი, იგივე მუდმივი მაგია, აკლია, ეს იმიტომ, რომ ძალიან გვიყვარს საკუთარ ქმედებებზე დაკვირვება და მათ წარმოსახვით ფორმებზე ფიქრში ჩაძირვა, იმის ნაცვლად, რომ მივყვეთ ამ ქმედებების მდინარებას.

და ეს უნარი წმინდად ადამიანურია. მეტიც, ვიტყვოდი, რომ სწორედ ეს ადამიანური ინფექცია გვიწამლავს იდეებს, რომლებიც ღვთაებრივად უნდა დარჩენილიყვნენ. შორს ვარ ადამიანის მიერ გამოგონილი ზებუნებრივისა და ღვთაებრივის რწმენისგან, მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორედ ადამიანის ათასწლოვანმა ჩარევამ გაგვირყვნა ღვთაებრივი.

ცხოვრებაზე ყველა ჩვენი წარმოდგენა გადასახედია ამ ეპოქაში, სადაც აღარაფერი ებმის ცხოვრებას. ეს მტკივნეული გახლეჩა არის საგნების შურისძიების მიზეზი. პოეზია, რომელიც ჩვენში აღარ არის და რომლის პოვნასაც საგნებში ვეღარ ვახერხებთ, მოულოდნელად, ამ საგნების არასწორ მხარეს გამოდის. არასდროს გვინახავს ამდენი დანაშაული, რომელთა უსასყიდლო უცნაურობა მხოლოდ ცხოვრების წინაშე ჩვენი უძლურებით შეიძლება აიხსნას.

თეატრი შექმნილია იმისთვის, რომ ჩახშობილი სურვილები გაგვიცოცხლოს. უცნაური ქმედებებიდან მოედინება ერთგვარი სასტიკი პოეზია, სადაც ყოფიერების ცვლილებები ცხადყოფს, რომ სასიცოცხლო ენერგია ხელუხლებელია და რომ საკმარისია მხოლოდ, უკეთ წარვმართოთ იგი.

მაგრამ რაც უნდა ძლიერად ვფლობდეთ მაგიას, ჩვენ, გულის სიღრმეში, ყოველთვის გვემინია ცხოვრების, რომელიც თავად მთლიანად ნამდვილი მაგიის ქვეშ ვითარდება.

ამიტომ აოცებს ჩვენს ძირეულად კულტურასმოკლებულ ცნობიერებას გარკვეული გრანდიოზული ანომალიები, როგორც მაგალითად, კუნძულზე, რომელსაც არანაირი შეხება აქვს თანამედროვე ცივილიზაციასთან, სავსებით ჯანმრთელი მგზავრებიანი გემის უბრალო გავლამ შეიძლება გამოიწვიოს დაავადებები, რომლებიც ამ კუნძულისთვის მანამდე უცნობი იყო და მხოლოდ ჩვენშია გავრცელებული: ჰერპესი, ინფლუენცა, გრიპი, რევმატიზმი, სინუსიტი, პოლინევრიტი და ა.შ.¹

1 დაავადებასა და თეატრს შორის პარალელს არტო ვრცლად ავლებს ამავე ციკლის პირველ წერილში "თეატრი და ჭირი". ნაწყვეტი ამ წერილიდან: "თეატრი, ისევე როგორც ჭირი, არის კრიზისი, რომელიც სიკვდილით ან გამოჯანმრთელებით სრულდება. ჭირი უმაღლესი ბოროტებაა, რადგან წარმოადგენს სრულ კრიზისს, რომლის შემდეგ მხოლოდ სიკვდილი ან უკიდურესი განწმენდა რჩება. თეატრიც, ამგვარადვე, ბოროტებაა, რადგან წარმოადგენს უხეივანეს წონასწორობას,

იგივე ხდება, როცა გვგონია, რომ შავკანიანებს ცუდი სუნი ასდით, და თავად არც კი ვიცით, რომ ევროპის გარეთ, ეს ჩვენ, თეთრკანიანებს აგვდის ცუდი სუნი, მეტიც - თეთრი სუნი, თეთრი იმ გაგებით, როგორც ვიტყვით "თეთრ ავადმყოფობას".

ისევე, როგორც რკინა თეთრდება გახურებისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველივე, რაც ზღვარს გადადის, თეთრია; და აზიელისთვის, თეთრი ფერი გახდა უკიდურესი გახრწნის ნიშანი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეგვიძლია, შევიქმნათ კულტურის ერთგვარი გაგება, რომელიც პირველ რიგში, პროტესტს უკავშირდება -

პროტესტს - კულტურის გაგების ამ აზრსმოკლებული დავიწროების წინააღმდეგ, რაც მის ერთგვარ წარმოუდგენელ პანთეონამდე დაყვანაში გამოიხატება და რაც კულტურას კერპის ელფერს აძლევს, როგორც წარმართული რელიგიის პანთეონში გამოფენილ ღვთაებას;

პროტესტს - კულტურის გაგების ამ გახლეჩის წინააღმდეგ, თითქოს კულტურა ალთას იყოს, ცხოვრება კი - ბალთას, და თითქოს ნამდვილი კულტურა არ წარმოადგენდეს ცხოვრების შეცნობისა და გამოცდის დახვეწილ საშუალებას.

თუნდაც დაწვან ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, პაპირუსებზე და მათ ირგვლივ არსებობს ძალები, რომელთა პოვნის უნარს ჩვენ, გარკვეული დროით, დაკვარავთ, მაგრამ მათი ენერჯია არსად წავა. კარგია, როცა უკიდურესი სიმარტივეები ქრება და ესა თუ ის ფორმა დავიწყებას ეძლევა. კულტურა, რომელშიც ჩვენი ნერვული უნარები დევს, დროისა და სივრცის მიღმა, კიდევ უფრო მეტი ენერჯიით დაგვიბრუნდება. მართალია ისიც, რომ დროდადრო ხდება ბუნებრივი კატასტროფები, რაც გვაიძულებს, კვლავ გავიხსენოთ ბუნება, ანუ დავუბრუნდეთ სიცოცხლეს, მაგრამ მხეცების, ქვების, მეხდაცემული საგნების, ცხოველური ინსტინქტით დამუხტული რიტუალური სამოსის უძველესი ტოტემიზმი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ძალების მოხელთებას, მათ მართვასა და დამორჩილებას ემსახურება, ჩვენთვის უსულო ობიექტია, რომლისგანაც მხოლოდ მხატვრული და უმოძრაო სარგებლის მიღება შეგვიძლია, მომხმარებლის სარგებლისა და არა მონაწილის.

ტოტემი კი მონაწილეა, რადგანაც მოძრაობს, და შექმნილია მსახიობობისთვის. ყოველი ნამდვილი კულტურა ემყარება ტოტემიზმის ველურ და პირველყოფილ ხერხებს, რომელთა სიველურე, ანუ სრული სპონტანურობა, მიბიძგებს მათი თაყვანისცემისკენ.

ის, რამაც ჩვენი კულტურა მოსპო, არის ჩვენივე დასავლური წარმოდგენა ხელოვნების შესახებ და ის სარგებელი, რომელსაც მისგან ვიღებთ. ხელოვნება და კულტურა, წესით, ერთმანეთს ფეხს ვერ უნდა უწყობდეს, ჩვენ კი დღეს ყველგან საპირისპიროს ვხედავთ!

ნამდვილი კულტურა ზემოქმედებს თავისი აღმაფრენითა და ძლიერებით. ხელოვნების ევროპული იდეალი კი ცდილობს, გონი ამ ძლიერებისგან განაცალკეოს

რომელიც ნგრევის გარეშე არ მიიღწევა. იგი გონებას ბოდვისკენ უხმობს და მასში ენერჯიას აღვივებს; დაბოლოს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ადამიანური გადასახედიდან, თეატრის ქმედება, ისევე როგორც ჭირისა, მარგებელია, რადგან იგი ადამიანს უბიძგებს, დაინახოს საკუთარი თავი ისეთად, როგორც არის, მოიხსნას ნიღაბი, აღმოაჩინოს ტყუილი, უქნარობა, სიდაბლე, პირფერობა; იგი არყვეს საგნის სულშემხუთავ ინერციას, რომელიც გრძნობათა ყველაზე ნათელ მონაცემებს იპყრობს; და, აჩვენებს რა საზოგადოებას მისსავე ბნელ და ფარულ ძალას, იწვევს მას განგების წინაშე გმირული და უმაღლესი პოზიციის დაჭერისკენ, რომელსაც იგი მის გარეშე ვერასდროს დაიჭერდა."

და აღმაფრენის უბრალო მაყურებლად აქციოს. ეს არის უქნარა და უსარგებლო იდეა, რომელიც სწრაფ სიკვდილს იწვევს. გველი-კეცალკოატლის² მრავალრიცხოვანი გორგალი იმიტომ არის ჰარმონიულად განლაგებული, რომ მთვლემარე ძალის წონასწორობასა და ბრუნვას ასახავს; და ფორმების სიმძლავრე აქ მხოლოდ იმისთვისაა, რომ მიიზიდოს და მოიხელთოს ძალა, რომელიც, მუსიკაში, გულგამგმირავ აკორდებს აღვიძებს.

მუზეუმებში მიძინებული ღმერთები: ცეცხლის ღმერთი თავისი საცეცხლურით, რომელიც ინკვიზიციის სამფეხას წააგავს; ტლალოკი³, წყლის მრავალრიცხოვანი ღმერთებიდან ერთ-ერთი, უკან გრანიტის მწვანე კედლით; წყლის დედაღვთაება, ყვავილების დედაღვთაება; ნეფრიტის მწვანეკაბიანი ქალღმერთის უსიცოცხლო და მთვლემარე გამომეტყველება, წყლის მრავალსართულიანი ნაკადის ქვეშ; ყვავილების დედაღვთაების აღტაცებული, ნეტარი და სურნელებათა მფრქვეველი სახე, რომელზეც წრეზე ტრიალებს მზის ატომები; გარდაუვალი მსახურების ეს სამყარო, სადაც სწორი დარტყმით ქვა ცოცხლდება, ორგანულად ცივილიზებულთა ეს სამყარო, რომელშიც სასიცოცხლო ორგანოებიც კარგავენ მოსვენებას, ეს ადამიანური სამყარო შემოდის ჩვენში, მონაწილეობს ღმერთების ცეკვაში, უკანმოუხედავად და უკანმოუბრუნებლად, რათა ჩვენსავით, მარილის ფხვიერ სვეტებად არ გადაიქცეს.⁴

მექსიკაში - რადგანაც მექსიკაზე ვლაპარაკობთ - არ არსებობს ხელოვნება, და ყოველ საგანს თავისი გამოყენებითი დანიშნულება აქვს. და იქ, სამყარო მუდმივ აღმაფრენაშია.

ხელოვნების შესახებ ჩვენს უსიცოცხლო და ინტერესგამოცლილ კონცეფციას ჭეშმარიტი კულტურა უპირისპირებს თავის ჯადოსნურსა და სასტიკად ეგოისტურ, ანუ დაინტერესებულ, წარმოდგენას. მექსიკელები იხელთებენ მანასს⁵, ყოველმხრივ მთვლემარე ძალებს, რომლებსაც ფორმების, როგორც ასეთის, ჭკრეტით ვერ გააღვიძებ, არამედ - მხოლოდ ამ ფორმებთან საკუთარი თავის ჯადოსნური გაიგივებით. და უძველესი ტოტემებიც უმალ აქ ჩნდებიან ურთიერთკავშირის დასაჩქარებლად.

ძნელია, როცა ირგვლივ, ყოველივე ძილისკენ გვიბიძგებს, და დაჟინებული და მტკიცე მზერით, გვაიძულებს, მხოლოდ სიზმრისეულ ბურანში ავახილოთ თვალები, რომლებიც აღარც კი ვიცით, რაში გვჭირდება, და რომელთა მზერა უკან, ჩვენშივე გვიბრუნდება.

2 **კეცალკოატლი** (ფრ. Quetzalcoatl) - იგივე "ფრთიანი გველი", ცენტრალური მექსიკის აცტეკებისა და ზოგადად, მესოამერიკის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება.

3 **ტლალოკი** (ფრ. Tlaloc) - წვიმის, ნაყოფიერებისა და წყლის ღმერთი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაება აცტეკების მითოლოგიაში. ტლალოკის თავდაპირველი კულტი, მოგვიანებით, ჩაანაცვლა ზემოხსენებულმა კეცალკოატლის კულტმა.

4 **მარილის სვეტები** - არტო აქ იყენებს ბიბლიურ არქეტიპს "დაბადების" ეპიზოდთან, რომელშიც სოდომი და გომორიდან ლოტისა და მისი ოჯახის გაქცევის დროს, ლოტის ცოლი უკან მოიხედავს და მარილის სვეტად იქცევა: "უკან მოიხედა ლოტის ცოლმა და იქცა იგი მარილის სვეტად." (ძველი აღთქმა, დაბადება, 19, 26). ლოტისა და მისი ქალიშვილების ამბავს არტო უბრუნდება ციკლის მეორე წერილში "დადგმა და მეტაფიზიკა".

5 **მანასი** (ფრ. Manas) - ძველინდური, კონკრეტულად, სანსკრიტული ტერმინი და ფილოსოფიური კონცეფცია. იგი ბუდიზმში განიხილება, როგორც "მეექვსე გრძნობა", რომელიც გონებრივ ობიექტებთან ურთიერთკავშირშია. დასავლური გაგებით, მანასი შეიძლება აღნიშნავდეს ზოგადად გონს, სულს, ინტელექტს, ფსიქეს.

სწორედ ამგვარად ჩნდება ეს უცნაური იდეა ინტერესგამოცლილი მოქმედებისა, რომელიც, ასე თუ ისე, მაინც მოქმედებაა და მძლავრად უპირისპირდება მოსვენების ცდუნებას.

ყოველ ნამდვილ გამოსახულებას ახლავს თავისივე აჩრდილი, რომელიც მის ორეულს ქმნის: და ხელოვნება კვდება იმწამს, როცა მოქანდაკეს, ფიგურის გამოყვანისას, ჰგონია, რომ ათავისუფლებს ერთგვარ აჩრდილს, რომლის არსებობაც მას მოსვენებას უკარგავს.

ისევე, როგორც იეროგლიფებიდან მომდინარე ყოველ ჯადოსნურ კულტურას, ნამდვილ თეატრსაც გააჩნია თავისივე აჩრდილები; და თეატრი ერთადერთია, არსებულ გამოხატვის ენებსა და ხელოვნებებს შორის, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენია აჩრდილები, რომლებიც შეზღუდვებს ამსხვრევენ და რომლებიც, შეგვიძლია ვთქვათ, თავიდანვე ვერ იტანდნენ ამ შეზღუდვებს.

თეატრის შესახებ ჩვენი გაქვავებული წარმოდგენა ემთხვევა უაჩრდილებო კულტურის შესახებ ჩვენს გაქვავებულ წარმოდგენას; და საითკენაც არ უნდა მივმართოთ გონი, იგი მხოლოდ სიცარიელეს აწყდება, მაშინ როცა ირგვლივ, სივრცე სავსეა.

ნამდვილი თეატრი კი, ვინაიდან იგი მოძრაობს და ცოცხალ ხელსაწყოებს იყენებს, მუდმივად იწვევს აჩრდილებს, რომლებზეც ყოველთვის ბორძიკობს სიცოცხლე. მსახიობი, რომელიც ერთსა და იმავე შესტს არასდროს იმეორებს, მაგრამ მაინც შესტიკულირებს და შესაბამისად, მოძრაობს, ერთი შეხედვით, გარე ფორმებს უხეზად ეპყრობა, მაგრამ ამ ფორმების მიღმა, მათი განადგურების მეშვეობით, იგი პოულობს იმას, რაც ფორმებზე გამძლეა და ამ ფორმებისვე უწყვეტობას განაპირობებს.

თეატრი არცერთ გამოხატვის ენაში არ ჯდება, მაგრამ იყენებს თითოეულ მათგანს. ამგვარად, შესტი, ბგერა, სიტყვა, მოძრაობა, ყვირილი ერთმანეთს ზუსტად იმ წერტილში ხვდება, სადაც გონს გამოხატვის ენა სჭირდება საკუთარი თავის გამოსავლენად.

თეატრის გამოკვეთვა გამოხატვის რომელიმე ენაში, იქნება ეს დაწერილი ტექსტი, მუსიკა, განათება თუ ხმაური, მოასწავებს მის სწრაფ სიკვდილს, რადგან გამოხატვის რომელიმე კონკრეტული ენის არჩევა მეტყველებს სიიოლისადმი მიდრეკილ ჩვენს გემოვნებაზე. გამოხატვის ენის შეზღუდვას მოსდევს ამ ენის გამოფიტვა.

თეატრს, ისევე როგორც კულტურას, აკისრია ამოცანა, სახელი დაარქვას აჩრდილებს და ისწავლოს მათი მართვა. თეატრი, რომელიც გამოხატვის რომელიმე ენითა და ამა თუ იმ ფორმით არ იფარგლება, ანადგურებს ცრუ აჩრდილებს და სათავეს უდებს ახალ აჩრდილებს, რომელთა გარშემოც იმართება ცხოვრების ნამდვილი სანახაობა.

ცხოვრებასთან მისაახლოებლად გამოხატვის ენის დამსხვრევა ნიშნავს თეატრის შექმნას ან გარდაქმნას. მთავარია, არ დავიჯეროთ, რომ ეს ქმედება წმინდა ანუ ხელშეუხებელია. თუმცა ასევე მთავარია, გვჯეროდეს, რომ ამას ნებისმიერი ვერ შეძლებს და ამისთვის განსაკუთრებული მომზადებაა საჭირო.

ყოველივე ამას მიყვავართ ადამიანის ჩვეულ შეზღუდვებსა და ძალაუფლებებზე უარის თქმისკენ და იმ საზღვრების უსასრულოდ გაფართოებისკენ, სინამდვილეს რომ ვუწოდებთ.

უნდა გვწამდეს თეატრის მიერ განახლებული ცხოვრების არსის, რომელშიც ადამიანი ჯერარსულის უშიშარ ოსტატად იქცევა და შობს მას. ყოველივე, რაც არ შობილა, კვლავაც შეიძლება იშვას იმ შემთხვევაში, თუ არ დავჯერდებით მარტივი ჩამწერი მოწყობილობების როლის მორგებას.

ამდენად, როცა წარმოვთქვამთ სიტყვას "ცხოვრება", უნდა გვესმოდეს, რომ საქმე ეხება არა მოვლენების გარეგნულ ასპექტზე შეცნობილ ცხოვრებას, არამედ იმ მყიფე და მბჟუტავ ცეცხლის კერას, რომელსაც ცალკეული ფორმები ვერ სწვდება. და თუ ჩვენს დროში, ჯერ კიდევ არსებობს რაღაც ჯოჯოხეთური და ჭეშმარიტად დაწყევლილი, ეს არის მხატვრულ ფორმებზე დროის კარგვა, იმის ნაცვლად, რომ დასაწვავად გამზადებულმა მსჯავრდადებულებმა, საკუთარი კოცონი ვაკურთხოთ.